სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 44

2014 წლის 13 მაისი

ქ. თბილისი

,, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის 2014 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის ჩატარების წესის და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 6 მაისის N40 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის (276561.13.05.2014) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის 2014 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის ჩატარების წესის და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 6 მაისის N40 დამტკიცებული ,, ,,უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის 2014 წლის კონკურსის ჩატარების წესის" მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,5. პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია, საბოლოო წარდგენის ჩათვლით, შესაძლებელი იქნება 2014 წლის 19 მაისიდან 25 ივნისის 24 სთ-მდე. ელექტრონულად დარეგისტრირებული პროექტებისათვის ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით

გათვალისწინებული დოკუმენტები ფონდში წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 2 ივლისის 18 საათისა.“

2. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge;

3. ბრძანება ძალაშია მისი საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

კარლო ლაფერაძე

გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი